572
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1967 აპრილი N4

ოქტომბრელები ლენინის ფოტოსურათზე

ნახატი რევაზ ცუცქირიძისა

ნათელა ფაილრაძე

თამრიკო, გივი, ეთერი, ჯემალი და მანანა ერთი ვარსკვლავის ოქტომბრელები არიან; მათი ხელმძღვანელი კი მეხუთეკლასელი რუსუდანია.

მალე რუსუდანის ვარსკვლავი პიონერთა რიგებში უნდა მიიღონ.

ძია ლენინის დაბადების დღე ახლოვდება. ტრადიციულად, ამ დღეს ოქტომბრელებს პიონერთა რიგებში ლენინის მოედანზე იღებენ ხოლმე.

სამზადისი რომ სამახსოვრო ყოფილიყო, მესამე პირველი კლასელები მესამე მეორეკლასელებს გაეჯიბრნენ. შეჯიბრი გამართეს, ვინ მიეიდოდა ლენინის მოედანზე პირველი?!

და აი, ერთ დღეს, პიონერთა რაზმეულის საბჭომ სკოლის დერეფანში ლამაზად გაფორმებული დაფა გააკრა. დაფაზე მარშრუტები ქალაქებით იყო ნაჩვენები. ყველა ქალაქი ძია ლენინის სახელს უკავშირდებოდა. — ლენინგრადი, რაზლივი, ყაზანი, შუშენსკოე, ულიანოვსკი, მოსკოვი.

ლენინის მოედანზე შეჯიბრის მონაწილეთა მისვლა 22 აპრილს იყო დათქმული. სტარტი კი თბილისის ლენინის მუზეუმის დიდი დარბაზიდან დაიწყო.

გამარჯვებისათვის ოქტომბრელებს ძალიან უნდა ეყოჩაღნათ. საჭირო იყო მეგობრობა სწავლაში, შეფობა საბავშვო ბაღის პატარებზე, ნარგავებით სკოლის ეზოს დამშვენება, სისუფთავე და წესრიგი კლასში. ორივე კლასის ოქტომბრელთა ჯგუფი საქმეს გულით მოეკიდა.

დატრიალდა რუსუდანის ვარსკვლავიც.

ყოველ კვირის ბოლოს ქალაქების მიხედვით რუკაზე პატარა „თვითმფრინავის“ გადაადგილება ხდებოდა. მესამე პირველკლასელთა სიყოჩაღეს ყველა ამჩნევდა, განსაკუთრებით კი რუსუდანის ვარსკვლავზე ლაპარაკობდნენ.

ლენინის მუზეუმის დიდი დარბაზიდან „გამომგზავრების“ შემდეგ მათი „თვითმფრინავი“ დაუბრკოლებლივ წინ მიიწევდა... წაიკითხეს ა. კონონოვის მოთხრობა ლენინზე „ნაძვის ხე სოკოლნიკში“, ნახეს კინოფილმი „მოთხრობები ლენინზე“. ერთ დღეს რუსუდანთან ერთად ლენინის ქუჩაზეც იყვნენ, ლენინის მოედანი ინახულეს და ლენინის სახელობის ელმავალმშენებელ ქარხანას ეს-ტუმრნენ. გაიგეს, — თბილისში რომელი ქუჩა, მოედანი, ქარხანა ატარებდა ძია ლენინის სახელს. რუკაზე პატარა „თვითმფრინავმა“ მოსკოვისკენ გადაიწია, შემდეგ ულიანოვსკისკენ და ასე შემდეგ. ბევრი რამ გაიგეს ოქტომბრელებმა.

იყვნენ ყველგან, სადაც კი ქალაქში ძია ლენინის ძეგლი იდგა.

22 აპრილს, ძია ლენინის დაბადების დღეს, მესამეკლასელთა მუდამ სამახსოვ-

10.367

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რო დღეს, ოქტომბრელებმა პიონერულ რაზმთან ერთად რუსთაველის პროსპექტი გამოიარეს, ლენინის მოედანზე მოვიწენ. მათთან იყვნენ კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები, საბჭოთა კავშირის გმირები, მასწავლებლები, პიონერები სხვა რაზმებიდან და უამრავი სტუმარი.

თამრიკომ, მანანამ, გივიმ, ჯემალმა, ეთერმა და ოქტომბრელთა მთელმა ჯგუფმა იმ დღეს ერთხმად წარმოსთქვა პიონერთა საზეიმო დაპირება.

პატარების მკერდზე ალისფერი ყელსახვევი აფრიალდა. როცა პიონერული საყვირის ხმა გაისმა, თამრიკომ, მანანამ, გივიმ, ჯემალმა და ეთერმა დოლიც აახმიანეს.

ლენინის მოედანზე პატარების ფიცის შემდეგ პიონერულმა რაზმმა თავის დაბადების დღე იზეიმა.

ოქტომბერი

ლადო სულაბერიძე

კოსმოდრომზე რაკეტა
ყველამ ერთად აკეთა.
შიგ ჩავჯდებით, ჩავკეტავთ...
ბუხ... და კოსმოსს გავკვეთავთ.
თვითმფრინავზე ჩქარა ვიფრენთ
იქითაც და აქეთაც.

ნახატი გიორგი როინიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეეროცხალი

აკაკი ბელიაშვილი

ნახატები **ზურაბ მეძმარიაშვილისა**

ერთხელ ჩემს დედულეთში — სოფელ ქორეთში ვიყავი. ავად გავხდი და რამდენიმე დღე ლოგინში ვიწექი. რომ არ მომწყენოდა, ქვემოთ, პალატში დამაწვინეს, სადაც ჩემგან ცოტა მოშორებით კედლის დიდი ბუხარი გუზგუზებდა და ქალები ბებიაჩემის მეთაურობით მთელი დღე საქმიანად ფუსფუსებდნენ.

ჩემი საწოლი პალატის სიღრმეში უკანა კედელთან იყო მიდგმული, საიდანაც მუდამ ღია კარი და ზაფხულის მზიანი დღით განათებული ურთხელისა და კაკლის ხეები მოჩანდა.

მე გულდაწყვეტილი გავცქეროდი ამ კარს და ფეხზე დადგომას ვნატრობდი, რომ სოფლის ბიჭებთან ერთად მენავარდა სათიბში, ან ბებერი მუხების ტყეში.

ჩემს თანატოლ ბიჭებსაც ენატრებოდათ ჩემი სტუმრობა, რადგან ყოველ ზაფხულს სოფელში ბევრი რამ საინტერესო ჩამქონდა თან: ან სურათებიანი წიგნი, ან ქაღალდის პისტონიანი თოფი, ან სათამაშო დამბაჩა და ვინ მოსთვლის კიდევ რა არ ჩამქონდა. ამიტომ თვითონაც ცდილობდნენ ჩემთვისაც განსაკუთრებული პატივი ეცათ. მიმასპინძლდებოდნენ თხილით, ნედლი კაკლით; მოჰქონდათ ჩემთვის სოკოები, ჩიტის ჭორფლიანი კვერცხები; მიკეთებდნენ საჭყეპელას, სათოფელას, მშვილდ-ისრებს; მასწავლიდნენ ძუის მახეების დაგებას, ლერწმის სალამურის გათლას; ხშირად ონტკოფოს ცარიელ ბუშტულას პურის ღეროზე წამოვაცვამდით და ჩავბერავდით. ბუშტულა გაიბერებოდა და თუ შევისუნთქავდით, შეიკეცებოდა.

ჰოდა, აბა, წარმოიდგინეთ რა აუტანელი იქნებოდა ჩემთვის მაშინ ლოგინში წოლა, როდესაც გარეთ ამდენი ულევი გასართობი მომელოდა. როგორი შურით შევცქეროდი ბატის ჭუკებს, აყინჩულ მამალს, კუდქიცინა კვატებს და სიცხისაგან გასავათებულ ვარიებს, ნისკარტები რომ დაეღოთ და გახშირებული სუნთქვისაგან ყიპყაპო უთახთახებდათ.

იქვე, კარებთან იწვა ჩვენი ბებერი ძაღლი წარბა, რომელსაც პალატში არ უშვებდნენ და შორიდან შესცქეროდა მოფუსფუსე ქალებს იმ იმედით, იქნებ, ან ჭადის ნატეხი, ან ქათმის შიგნეული გადმომიგდონო.

ასე ვიყავით მოწყენილები მეცა და წარბაც. უცბად გარედან რაღაც ხმაური მოგვესმა, წარბა ფეხზე წამოიჭრა და ჭიშკრისაკენ ყეფით გაექანა. მალე ყეფა მხიარულ წკმუტუნად შეიცვალა.

პალატში ჩემი დეიდაშვილი შემოვიდა და სამი ფეხშიშველი ბიჭუნა შემოჰყვა.

— ხედავ, ამ ბიჭებმა რა მოგიყვანეს? — მითხრა აღტაცებით დეიდაშვილმა და ორივე ხელში მომწყვდეული მერცხლის ბარტყი გამომიწოდა.

— უი, თქვენ კი გენაცვალეთ, — ღიმილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხრა ბუხართან ჩამჯდარმა ბებიამ ბიჭებს და ხაჭაპური გამოუტანა.

მაგრამ ბიჭები ადგილიდან არ დაიძრნენ. ისინი გაფაციცებით მიცქეროდნენ, თუ როგორ მოვიქცეოდი, როდესაც მერცხლის ბარტყს მომაწოდებდნენ.

დეიდაშვილმა ბარტყი ხელისგულზე დამისვა. მე მხოლოდ ერთი წუთით მოვხარე თითები, რომ ბარტყი ჩამომერთმია და ვიგრძენი, შიშისაგან როგორ გამალებით უცემდა გული პატარა ჩიტუნას. იმ წუთშივე გავშალე თითები და ხელი ოდნავ ავიქნიე, რომ მერცხალს აფრენაში მივშველებოდი. მან კი ჩემდა სასიხარულოდ მოხდენილად გაშალა ფრთები და კარებისკენ შურდულივით გაფრინდა. სანამ კარამდე მივიდოდა, ერთი ისეთი აღტაცებით ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა, რომ მას შემდეგ, აგერ ორმოცდახუთი წელი გავიდა და იმ პატარა ფრინველის სიხარულის აღმოკვნესა ახლაც **კი** ყურში მიწვივის.

ბებიამ მითხრა:

— დაგლოცა, შვილო, შენ კი გენაცვალე, გულკეთილი ხარ და ხედავ, როგორ დაგლოცა, ახლა კი აღარაფერი გიჭირს.

ალბათ ის სიხარული მომიხდა, რომელიც მერცხლის განთავისუფლებამ მომანიჭა; მეორე დღეს პატარა ბიჭებთან ერთად უკვე სათიბში დავნავარდობდი, ხშირად ცისკენ ვიხედებოდი და ჩუმ-ჩუმად გუნებაში ვნატრობდი: ნეტავ, ის მერცხალი დამანახამეთქი!

ღილე

თინათინ კვირიკაძე

მზე მთებზე ამოიწვერა,
სხივები უხვად მოჰფინა.
აკამკამებულ წყაროსთან
ჩიტების გუნდი მოფრინდა.

ქარმა ვეის გადაურბინა,
ჭაღაში გაინავარდა,
გამოიღვიძა პატარამ,
სახე ღიმილით გაბადრა.

გრძელკომბღიანმა ბიჭუნამ
ჩამოიარა კარდაკარ,
ზანტად მიმავალ საქონელს
შოლტი ტყლაშუნით გადაჰკრა.

დაფეთებული მამალი
გაძვრა ლობიდან ლობეში,
ასე ღამაზად გათენდა,
დილა პატარა სოფელში.

ნახატი იური ქლიბაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ფანქარი

კარლო კობერიძე

ნახატი ლამარა დანელიასი



სკოლიდან დავბრუნდი, ქუდი კაჩხაზე ჩამოვკიდე, პალტოც, ჩანთა იქვე დავდე. მერე მამაჩემის სამუშაო ოთახის კარი შევაღე, აბა, სამსახურიდან თუ დაბრუნდა-მეთქი; და ვხედავ: მამა მაგიდასთან ზის, ხელში ძაღიან ღამაზი, შავი ფანქარი უჭირავს, და როგორც თვითონ მითხრა, ნინო ბებიას წერილსა სწერს.

სკამი მაგიდასთან მივაჩოჩე, და ისევ იმ ღამაზ ფანქარს ვუყურებ. მამამ შემამჩნია და მკითხა, მოგეწონაო? თავი დავუქნიე, კი-მეთქი. შე კაი კაცო, მაგაზე როგორ გაწყენინებ, აი, წერილს ჩავათავებ და მერე შენი იყოსო.

მაჩუქა ის ფანქარი. მაჩუქა, მაგრამ მეორე დღეს, ვიდრე ხატვის გაკვეთილი დაიწყებოდა, მერხზე დავდე და ვილაცამ მომპარა.

შინ რომ დავბრუნდი, მამამ მკითხა, რამ დაგაღონაო. რაღა რამ დამაღონა, ფანქარი მომპარეს-მეთქი. გაიცინა, მაგაზე, ნუ იდარდებო. მაშინვე პალტო ჩაიცვა, ქუდიც დაიხურა, მე და დედას გვითხრა, ახლავე დავბრუნდებიო და წავიდა.

მართლაც, სულ ცოტა ხანმა გაიარა და წინა დღეს რომ მაჩუქა, იმაზე ღამაზი, შავი, გარედან სხვადასხვაფრად მოხატული ათი ფანქარი მომიტანა.

სკოლაში მხოლოდ ერთი წავიღე, ისიც შემთხვევით დამრჩა მერხზე და ისიც მომპარეს. ხატვის გაკვეთილზე მანანას ვთხოვე შავი ფანქარი და იმით ვხატავდი.

ქუდი და პალტო კაჩხაზე რომ ჩამოვკიდე და ჩანთაც იქვე დავდე, მამამ მკითხა, ახლა რაღამ დაგაღონაო. რაღა რამ დამაღონა, ფანქარი ისევ მომპარეს-მეთქი.

მამა დაფიქრდა; დიდხანს იფიქრა, იფიქრა და მერე მკითხა:

— საკლასო ოთახში როდის შეხვედი?

— ზარის დარეკვამდე... ფანქარი უკვე აელოთ.

— რ̀ქ არავინ დაგხვედრია?

— კი, დამხვდნენ,—ჰერს მივაშტერდი,—ერთი ეს, ის მეორე... მესამე... სულ ხუთნი იყვნენ.

— ჰო,—თქვა მამამ,—ხუთნი ყოფილან... აი, რას გეტყვი: გახსოვს- ნატო ბებიას გივიმ კნუტი მოპარა და შენ დაგაბრალეს?

— მახსოვს, ამ ზაფხულს იყო.

— ჰოდა, გეწყინა. ყველაზე ძნელი ის არის, რაღაცას ტყუილად რომ დაგაბრალებენ. კარგად იფიქრე: თუ ნამდვილად არ იცი, ვინ მოგპარა, იცოდე, ხელი არ დააღო. ჩემთვის რომ მოეპარათ, ასე მოვიქცეოდი...

დასვენებაზე შავი, ღამაზი ფანქარი განგებ დავტოვე მერხზე. მაგრამ ხატვის გაკვეთილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ დაიწყო, იქ აღარ დამხვდა.

მასწავლებელი რომ შემოვიდა, გვერდზე მივტრიალდი და მანანას ხმამაღლა ვუთხარი:

— შავი ფანქარი მათხოვე, რა!

— შენ რატომ არა გაქვს?—მკითხა გიგო მასწავლებელმა.

შინ დამრჩა-მეთქი. ხვალ აღარ დაგრჩესო, მითხრა და თავისი მათხოვა.

მაგრამ ის ხვალე რომ მოვიდა, მაშინაც დამეკარგა შავი ფანქარი და, როცა ხმამაღლა ვუთხარი მანანას, ჩემი შინ დამრჩა და შენი მათხოვე-მეთქი, მასწავლებელმა მითხრა, ხვალ მაინც აღარ დაგრჩესო და, ისევ თავისი ფანქარი მათხოვა.

ამ ხვალე-ხვალეობაში ხუთი შავი ფანქარი მომპარეს.

მეექვსე რომ დამეკარგა, იმ დღეს ხატვის გაკვეთილზე, ისევ მანანას დავეღრიჯე.

— ისევ შინ დაგრჩა?—მკითხა მასწავლებელმა.

— დამრჩა და რა ვქნა!

— ტყუილს ამბობს!—წამოხტა რეზო,—შინ კი არ დარჩა, მოპარეს!

მასწავლებელმა ღიმილით შემომხედა, მე კი გავბრაზდი, მერხზე ველარ ვისვენებდი.

ზარი დაირეკა. ყველა დერეფანში გავიდა. მე ჩემს მერხზე ვიჯექი, რეზო თავის მერხზე იჯდა; ისე გამოდიოდა, თითქოს ერთმანეთს ვუთვალთვალებდით. ველარ მოვითმინე, უცებ წამოვხტი და რეზოს დავეტაკე, საყელოში ჩავავლე ხელი:

— ჩქარა, მოიტა ჩემი ფანქრები!

რეზომ თვალები დააპყიტა, დაიბნა. ხმა ვერ ამოიღო.

— ჰა, მითხარი, სად წაიღე ჩემი ფანქრები!—ისევ ვუყვირე.

აგერ მაქვსო, მითხრა და თავის მერხისაკენ წავიდა. ჩანდა გამოიღო და ყველა ფანქარი უკღებლად ჩამაბარა.

— ცუდი ბიჭი ყოფილხარ,—ვუთხარი წყნარად,—რატომ მპარავდი, გეთქვა და გაჩუქებდი.

რეზოს თავი არ აუწევია, ისე მითხრა:

— კოლექციას ვაგროვებ და...—რაღაცნაირად შეიშმუშნა,—მინდოდა მეთხოვა და ვერ გაგიბედე...

მე ექვსივე ფანქარი უკან დავუბრუნე:

— აჰა, გქონდეს, თუ ასეა; შინ უფრო დამაზი ფანქრები მაქვს, იმასაც მოგიტან.

ისე იყო დაბნეული, მადლობის თქმაც ვერ მოახერხა.

— ნუ გეშინია,—დავამშვიდე,—არავის არ ვეტყვი.

რეზოს ამბავი, რა თქმა უნდა, არავისთვის არ მითქვამს; შეპირებული ფანქრებიც მივუტანე.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. მე და რეზო დავმეგობრდით კიდეც. ახლა თუ კარგი, დამაზი ფანქარი ჩამივარდა ხელში, მაშინვე მასთან მივარბენინებ. მისი კოლექცია კი იზრდება და იზრდება.

ერთხელ გუღმა ველარ მომითმინა და მამაჩემს მოვუყევი ეს ამბავი. მამამ მხარზე ღიმილით დამარტყა ხელი, თქმით კი, რატომღაც, არაფერი მითხრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ႽႰႤႪႳႠ ႹႨႲႨ

გივი ჭიჭინაძე

ზ ღ ა პ ა რ ი

მსუბუქი და თეთრი,
როგორც მთვარის სხივი,
ჩიტმა ცქნაფამ ერთხელ
ბალში ნახა მძივი.

მოიღერა კისერი,
ყველას ამცნო სიმღერით:

— თეთრი მძივი მაქვსო.
მარგალიტსა ჰგავსო.
ამისთანა სამკაული
მეფეს არა აქვსო! —

დილა იყო და ეს ხმა
მეფეს ძილში ჩაესმა.

წამოხტა და უხმო
თავის კარისკაცებს:
— აბა, ჩქარა, ჩქარა!
იმ ჩიტს ხელი სტაცეთ!

თეთრი მძივი წაართვით,
თორემ დაგსჯით ჯალათი! —

მეფის კარისკაცები
ეცნენ ბაღის კარებს.
სდიეს, სდიეს ჩიტუნას,
ბევრი ოფლი ღვარეს.

გამოგლიჯეს ის მძივი,
თვალს რომ სჭრიდათ ციმციმით.

ფრენით დაღლილ ჩიტუნას
თავი მიანებეს,
წამოიღეს მძივი და
გაახარეს მეფე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფემ ლხინი გამართა,
თვითონ იყო თამადა.

მაგრამ ცქნაფაც მაშინვე
ეცა მალალ სარკმელს:
— კაკ! კუკ!—დაჰკრა ნისკარტი,
გაიჩინა საქმე.

მოიღერა კისერი,
კვლავ დაიწყო სიმღერით:

— ჩიტი ვითხოვ სამართალს!
ჩიტი ვითხოვ სამართალს!
მეფემ მძივი წამართვა,
შეშურდა და წამართვა!—

თქვა და მერე სარკმლიდან
მაგიდაზე დაფრინდა.

მეფემ მეტი სიბრაზით
სულ დორბლები ჰყარა:
— მომაცილეთ თავხედი,
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!

მიაშავეთ ეს მძივიც!—
ღრიალებდა მხეცივით.

და ნამცეცა ნისკარტში,
როგორც მთვარის სხივი,
როცა ისევ გაბრწყინდა
პაწაწინა მძივი,

ხეზე შეხტა ჩიტუნა,
იმღერა და იხტუნა:

— რა ყოფილა, რაო,
მეფე მშიშარაო!
მძივი უკან გამოვტაცე,
ვერ გაიხარაო.—

სარდალს უხმო ხელმწიფემ:
— ჩქარა, ჯარი შეკრიბე!

შეიპყარით ის ჩიტი,
ჯერ დასაჯეთ ცემით,
მერე თვითონ მოუვლის
მზარეული ჩემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტუნია ტრაბახა,
მსურს მივირთვა ტაბაკად!—

დიდი ვაი-ვაგლახით
დაიჭირეს ცქნაფა.
მზარეულმაც მაშინვე
გაახურა ტაფა.

ზედ შესკუპდა ჩიტუნა,
ესეც არ დაიწუნა:

— თავს დასჯილად არ ვთვლიო,
მეფემ მიყო მადლიო.
მციოდა და გავთბიო,
მციოდა და გავთბიო!—

მეფე გაწყრა, აენთო:
— ტაფა მომიტანეთო!—

მზარეულმა იმ წამსვე
წინ დაუდგა ტაფა.
— ყლაპ!—და მეფემ ცქნაფა
უცებ გადაყლაპა.

და ძილის წინ ინება
ბაღში გასეირნება.

მაგრამ ცქნაფამ მუცელშიც
ამოიდგა ენა.
ის ბოროტი ხელმწიფე
აღარ მოასვენა.

მოიღერა კისერი,
ყველას ამცნო სიმღერით:

— ოდელია-დელაო,
მეფე ღორმუცელაო,
ერთი ციცქნა ჩიტუნა
ველარ მომინელაო!—

მეფემ ჯარი შეკრიბა,
და უბრძანა ექიმბაშს:

— კუჭის ოპერაცია
გამიკეთე ახლა.
და როდესაც ის ჩიტი
ამოხტება მაღლა,

ნახატი-ხუმრობა ედ. ამბოკაძისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ აჰკუწეთ ხანჯლებით!
მადლობელი დაგრჩებით!—

ექიმბაში ტრიალებს,
მოიმარჯვა დანა.
მეფის ჯარისკაცებიც
გასუსული დგანან.

ხანჯალშემართულები,
არ იძვრიან სრულებით.

მეფემ კვნესა დაიწყო:
— ვაი, ვაი, ვკვდები!—
უცბად ჩიტიც გამოჩნდა,
გატრუსული ფრთებით.

ამოფრინდა მუცლიდან,
ჯარიც ამას უცდიდა.

მოუქნიეს ხანჯლები,
მაგრამ ჩიტმა ცქნაფამ
გაიტაცა მძივი და
ხეზე შეხტა სწრაფად.

მოიღერა კისერი,
მზეს შესცინა სიმღერით...

ხოლო ჯარისკაცებმა
გაუმაძღარ მეფეს,
ცქნაფა ჩიტის მაგივრად
თავი წააკეპეს!

ილუსტრაციები შალვა ცხადაძისა

ზილი

გიორგი ხარაძეიშვილი

ის იყო ლევანი აივანზე ამოვიდა, რომ წინ სახეგაბრწყინებული გოგონა შეეგება:

— მამიკო, მამიკო! იცი, ჩვენმა ფისომ ისეთი ლამაზი კნუტები გააჩინა, სულ გინდა უყურო.—ნინიკომ მამას ხელი მოჰკიდა და აივნის ბოლოში, ყუთთან მიიყვანა, რომელშიც კატა თავის კნუტებს ჩახუტებოდა.

— ხედავ, მამა, რა ლამაზები არიან, თანაც ყველას თვალები დახუჭული აქვთ.

— ჰო, შვილო. ძალიან კარგები არიან. თვალებს მხოლოდ ცხრა დღის შემდეგ გააღელვენ.—უთხრა ლევანმა შვილს და სამუშაო კაბინეტს მიაშურა.

არ გასულა დიდი ხანი და ნინიკომ ერთი წვილ-კოვილი ატეხა.

— გადი, მოსცილდი, შე საძაგელო ბროლია... ეაიმე, მიშველეთ!

ლევანი იმწამსვე აივანზე გამოვარდა და ნინიკოსთან მიირბინა.

— რა მოხდა, შვილო, რატომ ტირი?—ალერსიანად შეეკითხა მამა.

ნინიკომ ცრემლები მოიწმინდა და ხელი ეზოსკენ გაიშვირა.

— ხედავ, მამა, როგორ შეშინებულია ჩვენი საწყალი ფისო, ყუთზე შემჯდარა და შიშით ძირს ვეღარ ჩამოდის. სულ ამ ძაღლის ბრალია ყველაფერი.

ლევანმა სათვალე გაისწორა და დაინახა, რომ ეზოში მათი ჭრელი კატა ნაგვის ყუთზე მობუზულიყო, ქვემოდან კი მეზობლის ძაღლი გაცხარებით უყეფდა. მერე ძაღლი უკანა ფეხებზე შედგა, კატისთვის უნდოდა პირი ეტაცა, მაგრამ კატამ თათით მოიგერია. ძაღლი უფრო გაბრაზდა და კატას ეცა. მაგრამ ფისომ ბროლიას ბრეშუალები ისე გაჭარა, რომ ძაღლმა შესწყმუტუნა და მარჯვენა თათით ყური მოიფხანა. ყურის ტკივილმა უფრო გააბრაზა. ყუთზე შეხტა, კატას პირი სტაცა, ძირს გადმოაგდო და მერე ბურთიანი ზეავით აისროლა. გულგახეთქილი კატა სწრაფად წამოხტა, იქვე მდგომ ხეზე ციყვივით შეხტა, ტოტებს შორის ჩაჯდა და ენავილი მორთო. ბროლია კი გაბარებული უყეფდა და მაღლა ხტოდა, რომ კატისათვის პირი კიდევ ეტაცა.

ძაღლი აღარ ეშვებოდა კატას, თათებს ხეს უფხაკუნებდა და ხეზე ასვლას ცდილობდა.

ეზოში მეზობლის ბიჭი გადახტა, ხელში იატაკის საწმენდი ჯოხი ეჭირა. ძაღლს მივარდა და ერთი მაგარი უთავაზა. ძაღლმა ყეფა შეწყვიტა და კუჭაში გაიძურწა. ფისომ რომ დაინახა, ძაღლი კუჭაში გავიდაო, ხიდან ჩამოხტა, კიბე სწრაფად აირბინა, ყუთში ჩაწვა და კნუტებს ლოკვა დაუწყო. დედის ალერსზე კნუტები ძუძუს ეცნენ. ნინიკო კი იდგა და შვილების მოსიყვარულე ერთგულ დედა ფისოს გახარებული შეჰყურებდა.

ნახატი ეკატერინა ბალანჩივაძისა

ნახატი ეკატერინა ჭელიძისა

ელეჯავი ჯუ

ძველად, სულ ძველად ბუ მღეროვი ყოფილა. ჩიტები თურმე სულ მასთან დადიოდნენ და ნაირ-ნაირ ფერებად იღებავდნენ ბუმბულს. ყველა მადლიერი ჰყავდა. მხოლოდ ერთი ყვავი იყო უკმაყოფილო—არაფრად ეპიტნავებოდა ბუს ხელობა, სულ თავის ქათქათა ბუმბულს აქებდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყვავსაც მობეზრდა თეთრი ბუმბული და ბუს მიადგა.

ჯანდაბას, შემღებე, ოღონდ ისე, რომ დედამიწის ზურგზე კაცს არ ენახოს ასეთი ლამაზი ბუმბულიო.

იფიქრა, იფიქრა ბუმ და ყვავი შავად შეღება.

ამისთანა ბუმბული მართლაც არავის აქვსო, უთხრა მან.

ყვავმა რომ ნახა, ფრთები გამურულივით ჰქონდა, ელდა ეცა, მაგრამ რა უნდა ექნა? ამიტომაა, რომ იმ დღიდან მოკიდებული ყველა ყვავი კუპრივით შავია.

დღემდე ვერ უპატრონიათ ბუსთვის, სადაც კი გადაეყრებიან, იქვე დაპუტავენ.

ამის შიშით, ბუ ღამისით იმალება და მხოლოდ ღამღამობით გამოდის გარეთ, როცა ყვავებს სძინავთ.

ინგლისურიდან თარგმნა ბარბარე ჭელიძემ

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

მწყემსი

ნახატი ზურაბ რაზმაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსის ბოხოხა ქუდივით აწოწილი მწვანე გორაკი რომ მოჩანს, ჩემი მეზობელი, პატარა ბიჭი იორამა დედა ცხვარს თავისი ტყუპი ბატკნით ყოველდღე იქით გაილალავს ხოლმე.

იორამა ბოხოხა გორაკს თრიალეთის მთებს ეძახის, ხოლო დედა ცხვარი თავისი ტყუპი ბატკნით უზარმაზარ ფარად ეჩვენება. მიდის დედა, მიაბაკუნებენ ბატკნები და იორამა სამჯერ თავისზე გრძელ, მამის ნაჩუქარ კომბალს ჰაერში ატრიალებს.

— საით გაგიწევია, იორამ? — ეკითხება ღობეზე გადმომდგარი პაპა გიგლო და ყალიონს აბოლებს.

— თრიალეთისკენ!

— რა შორი გზა აგირჩევია, კაცო! — უკვირს პაპა გიგლოს.

— შორია, მა რა!

— დიდი ვაჟკაცობა უნდა ამხელა ფარის მარტოდ გაძღოლას!

— მარტოდ რად ვიქნები, მამაჩემი იქ არის და ბიძაჩემი!

— ჰო, ჰო, იქ არიან, აკი გამახსენდა! აბა, მაშ, მშვიდობით იარე, იორამავ! — ყალიონს უქნევს პაპა გიგლო.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოს! — მოსძახის პატარა მწყემსი და წინ წასულ ფარას თვალს არ აცილებს.

საღამო ხანს გზაზე ისევ გამოჩნდა ცხვარი ტყუპი ბატკნით და იორამა სამჯერ თავისზე გრძელი კომბლით.

— გამარჯობა, პაპა გიგლო!

— აი, გაგიმარჯოს, იორამავ, რა მალე გამოგიწევია თრიალეთიდან, კაცო!

— აცივდა, დიდი თოვლები წამოვიდა და ავჩქარდი.

— კარგი გიქნია, ცხვარს დიდი გაფრთხილება უნდა, ახლა საით აპირებ?

— ტარიბანისკენ.

— მშვიდობით იარე!

— კარგად მენახე, პაპა!

იორამამ ცხვარს შეუძახა და კომბლის ტრიალით წინ გაუძღვა. თავიანთ ეზოს რომ მიუახლოვდა, უკან მოიხედა, პაპა გიგლო ხომ არ მიუყურებსო და ჭიშკარი გახსნა — ეგეც შენი ტარიბანა!

1. „ცხენოსნები“—ნახატი ირაკლი როსტომაშვილისა, 5 წ. თბილისი.



2. „ნატურმორტი“ — ნახატი ზურაბ მიქელაძისა, 11 წ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახათი

ოთარ ქუპრავა

ციცქნა ლიღის დასაკერად
ნემსს სანამდე ვნახავდი,
— მე გიშვეღი!—განჯინიდან
დამცინოდა მახათი.

ქიღა

წყევღითა და ვიშ-ვიშით
მოფღატუნობს ბებო,—
ფისოს წაუქცევია
მთეღი ქიღა ერბო.

20.367

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯაბუა ამირეჯიბი — ა რ ა კ ი — ნახატები დიმიტრი ზარაფიშვილისა

ტურა ტყე-ტყე მიტუსტუსებდა. ფეხი ვერაგულად დაგებულ ხაფანგში მოჰყვა. რა თქმა უნდა, რომ საზარელი ვაი და ვიში მორთო.

ამ ალიაქოთზე დათვი მობაჯბაჯდა. იმედგადაწყვეტილი ტურა შეემუდარა:

— არიქა, ბატონო დათვო, გადამარჩინე, მადლი მოისხი!

— შემიძლია და რატომაც არ უნდა გადაგარჩინო! — მიუგო დათვმა და ხაფანგს ტორები დაუშინა.

ხაფანგის მტვრევასა და ლაწალუწში ერთი უცაბედი ტორი ტურასაც მოხვდა.

ტურამ გაიფიქრა, ოღონდ ამ განსაცდელს როგორმე წაუვიდე და, ჯანდაბას, თუნდ ხუთი ამდენი მომხვდესო.

დათვმა ხაფანგი ნაფოტებად აქცია, ტურა დაღუპვას გადაარჩინა.

დაზარალებულმა სული მოითქვა, ნატკენი თათი აიკეცა და წაკინკილდა. მიდიოდა და ფიქრობდა, ხაფანგი იქით იყოს, და როგორი მთხლიშა იმ მოუხეშავმა, იმანაო!

დათვმა ტურა რომ სიკვდილს გადაარჩინა, ეს ამბავი ქვეყანას მოედო. ყველა დათვის კაი კაცობას ამბობდა. თვითონ ტურამაც არავინ დატოვა, თავისი განსაცდელი და დათვის ვაჟკაცობა არ ეამბნა, აქაო და, ყველამ იცოდეთ, როგორი მფარველი მყავსო!

ცოტა ხანი გავიდა. ტურას ქმარი ავად გაუხდა. ჭოტი მოიყვანა, ავადმყოფი გამისინჯეო. ჭოტმა ლოგინად ჩავარდნილი გასინჯა და თაფლით მკურნალობა დაუნიშნა.

ტურა საგონებელში ჩავარდა, თაფლი სადღა ვიშოვნოო.

იფიქრა, იფიქრა — დათვი მოაგონდა. თუ ექნება, იმას ექნება, სხვასთან არავისთან მეგულებაო. მივიდა და ბუნაგის კარზე მიუკაკუნა.

დათვმა გამოსძახა, სტუმარი ღვთისაა, თუ საიკეთოდ მოსულხარ, შემობრძანდი, ვინცა ხარო!

ტურა შევიდა. დათვი ცხვირპირახვეული დაუხვდა. ბუნაგში მალამოს სუნი იდგა. სტუმარს ენიშნა: ამას ფუტკარი ჰყავს დარბეული, თაფლი ბლომად ექნებაო. ჯერ ჯანმრთელობა მოუკითხა. მერე თანაგრძნობა გამოუცხადა. ფუტკრებს ზარალი და არგახარება უსურვა, მასპინძელს ნუგეში სცა, ტკივილები სულ მალე დაგიცხრებაო. ბოლოს მოსვლის მიზეზიც გაუმხილა.

— თაფლს ამ დღეებში უსათუოდ ვიშოვნი და გადმოგირბენინებო, — დაასრულა ტურამ თავისი სათხოვარი.

დათვმა უთხრა:

— შინ მწოლიარე ავადმყოფი გყოლია, შემიძლია და რატომაც არ უნდა დაგეხმარო!—საკუჭნაოში შევიდა, კარგა მოზრდილი ფიჭა გამოუტანა, სესხად კი არ მისცა, ავადმყოფთან ძღვნად გაატანა.

ტურამ მადლობა გადაუხადა, ფიჭას პირი დაავლო, შინისკენ წაძუნძულდა. მიდიოდა და ფიქრობდა, იმდენი თაფლის პატრონმა ამ ერთი ფიჭის მეტი ვერ გამოიმეტაო!

დათვმა ტურას რომ ქმარი გადაურჩინა, ეს ამბავი ქვეყანას მოედო. ყველა დათვის კაი კაცობას ამბობდა. თვითონ ტურამაც არავინ დატოვა, თავისი გასაჭირი და დათვის დახმარება არ ეამბნა, აქაო და, ყველამ იცოდეთ, როგორი ძმაკაცი მყავსო!

კიდევ ცოტა ხანმა გაიარა. ტურა ამბავს წააწყდა: მგლებს ნანადირევი ედოთ, ისხდნენ და სჭამდნენ. ბევრი უტრიალა, იქნებ რამე დავტყუოო. არაფერი გამოუვიდა, სათოფეზე არავინ მიიკარა. ტურა გამწარდა, მგლებს დაემუქრა, ისეთი ვინმე მოვიყვანო, სულ კუდამოძუებულნი მიძუნძულებდეთო.

მივიდა ტურა დათვთან, ბუნაგიდან გამოიხმო, მგლებს უჩივლა, დამჩაგრესო.

— წამომყევი, თუ კაცი ხარ, იმ ღორმუცელებს თავ-ფეხი მაინც მოაცემინე. შემოდგომაზე პანტას მოგიგროვებ და თაბახით მოგართმევ.

დათვმა მიუგო:

— ნანადირევის წართმევა სადაური სამართალია. ესეც არ იყოს, შინ სტუმრები მყავს, დღეს ვერსად წამოგყვები.

ტურას გული მოუვიდა, მაგრამ პირში უკულმართი ვერაფერი შებედა და იქაურობას გაეცალა. მიდიოდა და ფიქრობდა, რიგიანი დათვი მეგონა, როგორი გაუტანელი და თავკერძა ყოფილაო.

გზად ვინც შემოეყარა, ყველასთან დათვის აუგი ილაპარაკა. ვინც მოუსმინა, ყველამ ტურა გაამტყუნა, ამდენი სიკეთე გიყო და ამაგი წყალში უნდა გადაუყაროო?! მადლის ყადრი არა გცოდნია, უმადური და ბრიყვი ყოფილხარო!

ზოგმა მსჯავრიც დასდო: მგელმა ტურა ... დი შიგ ძირში წააკვნიტა. მელამ ქურქი შემოფლითა. ვირმა ყბებში ტყუპი წიხლი ამოჰკრა და კივილი დააწყებინა. როგორი მართალიც იყო, ქვეყანაზე დღესაც იმ სიმართლით დადის: დღისით სოროშია, ღამღამობით ჯაგებში დაძრწის, სჩვის გადაყრილს მიირთმევს. ალარც კუდი აქვს, ალარც რიგიანი ქურქი აცვია და ერთთავად თავის უმადურობას მიჰკივის.

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი.

სარედაქციო კოლეგია: გ. გეგეჭკორი, (მთ. რედაქტორის მოადგილე) კ. გოგიაშვილი, ჯ. ლოლუა, მაკ. მრევლიშვილი. ჯ. ნინუა, ზ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), ნ. ფულეისკირი რ. ჭეიშვილი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყურნალი

ყდაზე ნახატი რევაზ ცუცქირიძისა

ტექრედაქტორი გ. რობინიშვილი

გამოცემის მე-40-ე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.

გამომცემლობა „ნაკადული", გამომც. შეკვ. № 31, სტამბის შეკვ. № 158, ტირაჟი 82.000. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/II 1967 წ.

ჟურნალი დაბეჭდილია ხაკ. კპ ცკ გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატში ლენინის ქ. № 14 „ПИЛА" № 4 на грузинском языке. Тбилиси, просп. Плеханова № 91

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრსპ. № 91, ტელ. 5-37-38, 5-18-09.

ფასი 20 კაპ.

ф133/74

„მ ზ ი ა ნ ი დ ღ ე“—ნახატი ქეთევან კაპანაძისა, 5 წ. თბილისი.

„გ ო გ ო ნ ა“—ნახატი მამუკა მამალაძისა, 6 წ. თბილისი.

„ს ა ხ ლ ე ბ ი“—ნახატი თამრიკო გაბაშვილისა, 8 წ. თბილისი.

„ძ ვ ე ლ ი ქ ა ლ ა ქ ი“—ნახატი გაბრიელ გოგოლაძისა, სოფ. ბარალეთი.



76055